შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტომატოლოგიური მომსახურების თავისებურებები

ზურაბ ალხანიშვილი

ბარიერები

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უმეტეს შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურებით, მით უფრო სტომატოლოგიური სერვისებით ვერ სარგებლობენ.
- მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევები უჩვენებს, რომ სტომატოლოგებთან ვიზიტის დროს ხშირად აწყდებიან სხვადასხვა ტიპის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ ბარიერს, რომლებიც აღნიშნულ მომსახურებას მნიშვნელოვნად ზღუდავს ან, როგორც წესი, სრულებით მიუწვდომელს ხდის.

კვლევა

- სტომატოლოგიური მომსახურების მიღების შეზღუდვა განპირობებულია ერთი მხრივ კლინიკის ფიზიკური ბარიერებით/გარემოს არაადაპტირებულობით, ხოლო, მეორე მხრივ, სტომატოლოგთა მხრიდან მომსახურებაზე უარის თქმით.

- გეოგრაფიული სიახლოვე / სიშორე განიხილება, მაგრამ გაცილებით სერიოზული პრობლემა ის სტომატოლოგიური კლინიკებია,
- რომლებიც სიახლოვესაა, თუმცა არაადაპტირებული კარის, კიბის, საფეხურების,ზღურბლების, მცირე ინფრასტრუქტურის და სხვა პრობლემების გამო სტომატოლოგთან მიღწევა რთულია ან შეუძლებელი.

ადაპტაციის საშუალებები

სრულად ფუნქციური დამხრელი მოწყობილობა

ზედა რელსების სისტემა

სავარძლის ამწევი პლატფორმა

პორტატული ამწე.

მიმართვიანობა

N	მომართვის ტიპი	მაჩვენებელი (%)
1	დიაბეტი	61.3 %
2	ჰეპატიტები	55.6%
3	ასთმა	38.7%
4	სმენის დაქვეითება/სიყრუე	32.4%
5	გონებრივი ჩამორჩენა	31.7%
6	მხედველობის დაქვეითება/უსინათლობა	28.2%
7	ეპილეფსია	26.8%
8	ცერებრული დამბლა	26.1%
9	შესაძლებლობის შეძენილი შეზღუდვა	20.8%
10	აივ/შიდსი	15.5%
11	ქცევითი აშლილობა	14.8%
12	დაუნის სინდრომი	14.1%
13	ჰიპერაქტივობის სინდრომი	12%
14	აუტიზმი	11.3 %
15	ტიკური აშლილობა	9.2%

ძიმსახურების გაწევაზე უარი

N	მომართვს ტიპი	მაჩვენებელი (%)
1	დაუნის სინდრომი	30%
2	ტიკური აშლილობა	25%
3	ცერებრული დამბლა	24%
4	აუტიზმი	21%
5	ჰიპერაქტივობის სინდრომი	21%
6	გონებრივი ჩამორჩენა	20%
7	ეპილეფსია	18.2%
8	შესაძლებლობის შეძენილი შეზღუდვა	17%
9	აივ/შიდსი	16%
10	მხედველობის დაქვეითება/უსინათლობა	15.2%
11	ქცევითი აშლილობა	13.5%
12	დიაბეტი	12.5%
13	სმენის დაქვეითება/სიყრუე	12%
14	ჰეპატიტები	10.4%
15	ასთმა	7%

უარის მიზეზები

მიზეზები:

1. „{პაციენტის} არაადეკვატურობა, კონტაქტის დამყარების სირთულე“
2. „არაკვალიფიციური მედ. პერსონალის გამო“
3. „არ მაქვს საკმარისი ცოდნა“
4. „მიმაჩნია, რომ სპეციფიკურ კლინიკებში უნდა მივიდნენ“
5. „არაადეკვატურობა, კონტაქტის დამყარების სირთულე“
6. „ვერ მივეკარებოდი“
7. „ზოგადი მდგომარეობის გამო“
8. „პაციენტი ითხოვდა ბინაზე ვიზიტს“
9. „ეპილეპტიკზე ვთქვი უარი, რადგან ანესთეზია არ ჰქონდა არასოდეს გაკეთებული“

ყურის შეძთხვევაში

54% - გაუშვა
39% - გადაამისამართა

33.3% - სტაციონარში
50.1% - ამბულატორიაში
16.6% - სპეციალიზებულ კლინიკაში

მკურნალობის ეფექტურობა



ინფორმირებულობა

N	ნოზოლოგია	ინფორმაციის ფლობის მაჩვენებელი (%)		ცოდნის გაღრმავების სურვილი
		კი	არა	
1	დიაბეტი	76.8%	16.9%	
2	მხედველობის დაქვეითება/უსინათლობა	74.6%	19.0%	49.3%
3	სმენის დაქვეითება/სიყრუე	73.2%	20.4%	
4	ასთმა	72.5%	20.4%	
5	ეპილეფსია	68.3%	25.4%	
6	ჰეპატიტები	67.6%	26.1%	
7	ცერებრული დამბლა	64.1%	29.6%	
8	აივ/შიდსი	64.1%	29.6%	
9	დაუნის სინდრომი	59.9%	33.8%	
10	გონებრივი ჩამორჩენა	58.5%	35.2%	
11	აუტიზმი	57.0%	36.6%	76.1%
12	ჰიპერაქტივობის სინდრომი	50.7%	42.3%	
13	შესაძლებლობის შეძენილი შეზღუდვა	49.3%	43.0%	
14	ქცევითი აშლილობა	43.7%	49.3%	
15	ტიკური აშლილობა	35.9%	57.0%	

შეზღუდული შესაძლებლობა



თანაბარი შესაძლებლობები



რა არის აუტიზმი?

“იყო ერთი პატარა უფლისწული, და ამის დამამტკიცებელი საბუთი არის ის, რომ იგი მშვენიერი იყო, იცინოდა და ძალიან უნდოდა ჰყოლოდა ბატკანი, ხოლო ვისაც სურს, ჰყავდეს ბატკანი, რა თქმა უნდა, არსებობს კიდეც”...



“პატარა უფლისწული” - ანტუან დე სენტ ეკზიუპერი

აუტისტური სპექტრი

- მენტალურ აშლილობათა დიაგნოსტიკისა და სტატისტიკის სახელმძღვანელო

- აუტიზმი, ასპერგერის სინდრომი, განვითარების პერვაზიულ არასპეციფიკური დარღვევა

- ნეიროგანვითარებითი დარღვევის შედეგი

- განვითარების პერვაზიულ დარღვევათა ჯგუფს მიეკუთვნება რეტის სინდრომი და ბავშვთა დეზინტეგრაციული აშლილობებიც, რომლებიც აუტიზმისთვის დამახასიათებელი სიმპტომებით ხასიათდება.

რა არის აუტიზმი?

- თავის ტვინის ფუნქციონირების დარღვევა
- აუტიზმის გამომწვევი მიზეზი დადგენილი არ არის და ჯერჯერობით განუკურნებელ მდგომარეობად ითვლება
- აუტიზმის მქონე ბავშვის დასახმარებლად ბევრი სხვადასხვა სტრატეგია არსებობს
- ბავშვები იბადებიან აუტიზმით, მაგრამ მისი ნიშნები შეიძლება მხოლოდ 1 ან 2 წლის ასაკისთვის გამოვლინდეს
- ნურასდროს ნურავინ ჩათვლის თავს კომპეტენტურად, როცა ეხება ამ საკითხს. იმიტომ, რომ ეს არის ცვლადების განუსაზღვრელი სივრცე

აუტიზმი

სპექტრული დარღვევა

ვესტიბულარული შეგრძნება

სხეულის მოძრაობისა და წონასწორობის შეგრძნება

პროპრიოცეფცია

სხეულის სხვადასხვა ნაწილების სივრცეში მდებარეობის აღქმა

- აუტიზმის მქონე ადამიანის თავის ტვინი მიღებულ ინფორმაციას სხვაგვარად ამუშავებს
- მიღებულ ინფორმაციაზე სხვადასხვანაირად რეაგირებს
- სხვაგვარად ამუშავებს შეგრძნებებით მიღებულ ინფორმაციას.

შეგრძნების ხარისხი შეიძლება იცვლებოდეს დღიდან დღემდე ან დღის განმავლობაში

სენსორული დისფუნქცია

აზროვნება სურათებით

„სიტყვები ჩემთვის მეორე ენას წარმოადგენენ. როცა ვინმე მესაუბრება, მისი სიტყვები, ჩემთვის იმ წამსვე სურათებად გარდაიქმნებიან“

PECS

Pictures Exchange Communication System

აუტიზმის მქონე ნებისმიერ ადამიანს ყველა ასაკში შეუძლია ვიზუალური მასალის (სურათების), როგორც კომუნიკაციის საშუალების, გამოყენება. ეს ძალიან ამარტივებს მათ ურთიერთობას გარე სამყაროსთან.

აზროვნება სურათებით

აზროვნება სურათებით

მომზადება ვიზიტისთვიის:

- მნიშვნელოვანია, შეირჩეს სტომატოლოგი, რომელსაც ექნება გამოცდილება
- ჩაწერამდე გავითვალისწინოთ, დღის რა მონაკვეთში იქნება ბავშვი მზად
- მშობელი გაეცნოს ექიმს და აუხსნას ბავშვის ქცევის თავისებურებები
- მშობელს გადავუგზავნოთ კლინიკის ფოტოები
- ბავშვის კალენდარში ჩაჯდეს სტომატოლოგთან ვიზიტი
- სიმულაცია სახლში (ინსტუმენტების გამოყენებით)

ვიზიტის აქტივობათა ვიზუალური ცხრილი

სმენა	მხედველობა	შეხება	კვება	წარმოსახვა
ინტელექტი	მეტყველება	ემოციები	გაზიარება	ჯდომა

ვიზიტის აქტივობათა ვიზუალური ცხრილი

ემოციები

ჯდომა

შეხება

მხედველობა

სმენა

წარმოსახვა

მეტყველება

ინტელექტი

გაზიარება

კვება

ვიზიტის აქტივობათა ვიზუალური ცხრილი

სტომატოლოგთან მისვლა / ქურთუკის ჩამოკიდება
დალოდება
სავარძელზე დაჯდომა
სათვალის მორგება
პირის გაღება
კბილების გადათვლა
კბილის გაწმენდა
წყლის გამოვლება / გადანერწყვება
?

ვიზიტის აქტივობათა ვიზუალური ცხრილი

სტომატოლოგთან მისვლა
მნიშვნელოვანია, შეირჩეს სტომატოლოგი, რომელსაც ექნება გამოცდილება
ჩაწერამდე გავითვალისწინოთ, დღის რა მონაკვეთში იქნება ბავშვი მზად
მშობელი გაეცნოს ექიმს და აუხსნას ბავშვის ქცევის თავისებურებები
მშობელს გადავუგზავნოთ კლინიკის ფოტოები
ბავშვის კალენდარში ჩაჯდეს სტომატოლოგთან ვიზიტი
სიმულაცია სახლში (ინსტუმენტების გამოყენებით) / პროცესის ანალოგი
წინასწარი ვიზიტი

კლინიკაში:

მოვაყვანინოთ მეგობარები, ოჯახის წევრები, ახლობლები

მოვატანინოთ საყვარელი სათამაშო

სტომატოლოგი დაუმეგობრდეს პაციენტს და დაამყაროს კონტაქტი

სტომატოლოგი მშვიდად უნდა საუბრობდეს

დავუწიოთ სინათლეს და თავი მაქსიმალურად ავარიდოთ ნემისმიერი სახის ხმაურს

სანამ ინსტრუმენტს პირის ღრუში მოვათავსებთ, დავანახოთ

გარემო უნდა იყოს სადა, რომ ყურადღება არ დაეფანტოს

მუსიკა

პრობლემური / არასასურველი ქცევის მართვა



სავარჯიშო:

დილას რომ გავიღვიძე, არაჩვეულებრივი ამინდი იყო.

ჯერ სამზარეულოში ყავის მოსადუღებლად შევედი, შემდეგ აბაზანისკენ, კბილების გამოსახეხად გავეშურე. ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ჩემი უფროსი იყო, კლინიკიდან რეკავდა.

პროცენტზე ვმუშაობ, ამიტომ, როცა პაციენტი არ მყავს, არ მივდივარ ხოლმე.
კბილების ხეხვა სასწრაფოდ მოვამთავრე და გავიქეცი. პაციენტი მისულა. საცოდავს მთელი ღამე არ უძინია, პულპიტზე ვერაგი მაინც არაფერია...

სახლში რომ დავბრუნდი, ბინაში ხალხმრავლობა დამხვდა, წასვლის წინ ჩაიდანი ანთებულ გაზქურაზე დამრჩენია.

სავარჯიშო:

კლინიკის დირექტორმა ჩვენი კლინიკის ფეისბუქის გვერდის გაკეთება მთხოვა. მითხრა, ბევრი ადამიანი რომ მოიწონებს, სარფიანი რეკლამა გამოგვივაო.

საღამოს დავჯექი და ბევრი ვიმუშავე. არაჩვეულებრივი გვერდიც შევქმენი. შემდეგ ჩემს მეგობრებს ვთხოვე, დაელაიქებინათ.

მეორე დღეს კლინიკაში გამარჯვებული სახით, ამაყად მივედი. ლეპტოპი გავხსენი და გვერდი უფროსს ვაჩვენე. არაფერი შეუნიშნავს გარდა იმისა, რომ 15 კაცს ჰქონდა მოწონებული. ეცოტავა.

ჩხუბით ამიკლო და სამსახურიდან გამათავისუფლა.



როდის არის/ხდება ქცევა პრობლემური

?

ქცევა პრობლემურია, თუ ის...

- ✓ 1 ხელს უშლის ბავშვს სოციალურ ურთიერთობებში
- ✓ 2 სახიფათოა თავად ბავშვისთვის ან სხვებისთვის
- ✓ 3 ხელისშემშლელია ბავშვის განვითარებისთვის
- ✓ 4 ის ხდება ძალიან ხშირად (ჭარბი ქცევა) ან იშვიათია (დეფიციტური ქცევა)
- ✓ 5 ის ხდება შეუსაბამო დროს ან შეუსაბამო ადგილას

ქცევა პირობითად შეგვიძლია გავყოთ ორ ფორმად

დეფიციტური

1 ქცევა, რომლის გაზრდაც გვსურს

ჭარბი

2 ქცევა, რომლის შემცირებაც გვსურს

პრობლემური ქცევის კატეგორიები:

ფიზიკური და სიტყვიერი აგრესია

სხვადასხვა ტიპის თვითდამაზიანებელი ქცევა

საკუთრების დაზიანება; ქურდობა

სტერეოტიპული, თვითმასტიმულირებელი ქცევა

სექსუალურად შეუსაბამო ქცევა

შედარებით პასიური ხასიათის ქცევები:

ჭამაზე და შეთავაზებულ აქტივობაზე უარის თქმა

განრიდება

როგორ განვმარტოთ პრობლემური ქცევა?



ქცევის განმარტება არის პრობლემური ქცევის აღწერა მარტივი სიტყვებით, რომელიც არ შეიცავს შეფასებით სიტყვებს როგორიცაა მაგალითად: „ცუდი'' , „კარგი'', „აგრესიული'' და სხვა

მაგალითად:

დათო კარგად ჭამს

დათო ყოველდღე ბოლომდე ამთავრებს მისთვის განკუთვნილ ულუფას, არ ანამცეცებს, იკვებება ბურღულეულით და ხილით

ნინო ცუდად ექცევა ბავშვებს

ნინომ თმით ითრია კლასელი გოგონები, თავში მუშტებს ურტყამს გვერდით მჯდომ მეგობრებს

ფაქტორები


მიზანი
ფუნქცია
მიზეზი
ყველა ქცევას აქვს კონკრეტული მიზანი, ფუნქცია და მიზეზი
.
ერთსა და იმავე ქცევას სხვადასხვა მიზნები შეიძლება ჰქონდეს
ქცევა არაა შემთხვევითი და უმიზეზოდ არ ვლინდება

საღებავის დაღვრა

ქცევის გამოვლენის კონტექსტი და მიზანი

მარიამმა საღებავი დაღვარა

სხვადასხვაგვარად იქნება გაგებული იმის მიხედვით:

თუ სად მოხდა ეს ქცევა - მისაღებ ოთახში, ხალიჩაზე თუ სამუშაო ოთახში გაშლილ ქაღალდზე

გასათვალისწინებელია ემოციები:
შეწუხებულია - ?
მიზანმიმართულად გააკეთა?

არასასურველი ქცევის მიზნები:

1. ყურადღების მიქცევა
2. ძალაუფლების მოპოვება
3. შურისძიება
4. მატერიალური ჯილდოს მოპოვება
5. თავის არიდება
6. თვითდაჯილდოვება

მიზეზები:

ფიზიოლოგიური, ფსიქოსოციალური ფაქტორები

1. შიმშილი
2. წყურვილი
3. კბილის ტკივილი
4. სენსორული შიმშილი, სენსორული სტიმულაციის მოთხოვნა
5. პრობლემები კომუნიკაციაში, კომუნიკაციის ნაკლებობა
6. მოწყენილობა, უყურადღებობა
7. მარტოობის განცდა
8. წარსული გამოცდილება
9. სოციალური ნორმების ცოდნის ნაკლებობა
10. უნარის დეფიციტი

მიზეზები:

გარემო ფაქტორები

1. ✓ ხმაური, მკვეთრი სინათლე
2. ✓ დიდი ან პატარა სივრცე
3. ✓ ტემპერატურული ცვლილებები
4. ✓ სხვადასხვა საგნების ან ოთახების ხელმიუწვდომლობა
5. ✓ ტანსაცმლის ფაქტურა

კონტროლი

ქცევა კონტროლდება წინარე და შემდგომი მოვლენებით



1. წინაპირობა ესაა სტიმული, რომელიც ქცევას წინ უსწრებს და რომლის საპასუხოდაც აღმოცენდება კონკრეტული ქცევა
2. შედეგს შეუძლია შეამციროს ან გაზარდოს კონკრეტული ქცევის განმეორების ალბათობა
3. ქცევა ესაა გარემოსთან ურთიერთობის ფორმა

ქცევის შედეგი



სავარჯიშო:

“მე ვხედავ... “მარშუტკას!”

წინაპირობა	ვხედავთ სამარშრუტო ტაქსს სასურველი ნომრით
ქცევა	დავუქნიეთ ხელი
შედეგი	ტრანსპორტი ჩერდება

ბავშვი:

“მე მინდა შოკოლადი”

წინაპირობა	ბავშვს უნდა შოკოლადი
ქცევა	ტირის
შედეგი	დედა აძლევს შოკოლადს

პრობლემური ქცევის მახასიათებლები:

სიხშირე	რამდენჯერ ვლინდება სამიზნე ქცევა
ხანგრძლივობა	რამდენ ხანს ვლინდება სამიზნე ქცევა
ინტენსივობა	რამდენად ძლიერად ვლინდება სამიზნე ქცევა

თუ ბავშვმა არ იცის... ჩვენ:

თუ ბავშვმა არ იცის კბილების გამოხეხვა, ჩვენ მას...	ვასწავლით
თუ ბავშვმა არ იცის ცეკვა, ჩვენ მას...	ვასწავლით
თუ ბავშვმა არ იცის ხელების დაბანა, ჩვენ მას...	ვასწავლით
თუ ბავშვმა არ იცის თვლა, ჩვენ მას...	ვასწავლით
თუ ბავშვმა არ იცის ხატვა, ჩვენ მას...	ვასწავლით
თუ ბავშვმა არ იცის, როგორ ჩაიცვას, ჩვენ მას...	ვასწავლით
თუ ბავშვმა არ იცის, როგორ მოიქცეს, ჩვენ მას...	ვსჯით?

ტომ ჰერნერი, 1998

ქცევის განმტკიცება

განმტკიცება, ესაა პროცესი, როცა ქცევა ძლიერდება თანამდევი შედეგის გამო

დადებითი

1 როცა სასიამოვნო სტიმულის დამატება ხდება

უარყოფითი

2 ქცევის იგნორირება, განმაპირობებელი სტიმულის მოშორება

ქცევის განმტკიცება

თქვენ შემთხვევაში, რა განმამტკიცებლები იმუშავებდა ეფექტურად?

განმამტკიცებლები:

- კვებითი
- მატერიალური
- აქტივობითი
- გადაცვლადი
- სოციალური

განმამტკიცებლის შერჩევა:

არ არსებობს უნივერსალური განმამტკიცებელი

თუ რა იმუშავებს განმამტკიცებლად, დამოკიდებულია ასაკზე, სქესზე, კულტურაზე, ინტერესებზე და ა.შ.

დროული; შეზღუდული და უნდა გავითვალისწინოთ მობეზრების შესაძლებლობა

დაგეგმილი იგნორირება

დასჯა = რისკი ?

ვასწავლით ფიზიკურ აგრესიას

“დასჯილი ქცევა” მცირე დროით მიიმალება და მაშინვე აღდგება, როგორც კი დასჯა შეწყდება ან ადრესატი მიეჩვევა

ვასწავლით ტყუილს და ვუბიძგებთ დახვეწილი, ეშმაკური სტრატეგიების შემუშავებისკენ

“ძლიერმა უნდა დაჩაგროს სუსტი” - ვასწავლით განსაკუთრებით მაშინ, როცა დასჯილი თვლის, რომ დასჯა უსამართლო იყო

დასჯის დროს ყურადღებას არასასურველ ქცევაზე ვამახვილებთ და ვამტკიცებთ

ზეკორექცია

არ შეიცავს დასჯის უარყოფით მახასიათებლებს

არსებობს რისკი

!

დადებითი ფორმულირება

აქცენტი გავაკეთოთ დადებითზე და არა უარყოფითზე

ქეთი, შენ ახლა ყველას ხელს გვიშლი შენი საუბრით! ☹

ქეთი, შენ ძალიან კარგი გოგო ხარ და შეგიძლია, ჩუმად იჯდე, როცა სხვები საუბრობენ ☺

დადებითი ფორმულირება

პიროვნება

ქცევა

სავარჯიშო:

4 წლის ლუკა ხატვის გაკვეთილის დროს, მას შემდეგ, რაც თვითონ დაამთავრებს ხატვას, იწყებს კედელზე გაკრული ნახატების ჩამოხევას.

მასწავლებლის შენიშვნაზე - ,,დაჯექი ლუკა შენს ადგილზე და არ ჩამოხიო ნახატი" , ლუკა იცინის და აგრძელებს ნახატების ჩამოხევას.

რის შემდეგაც მასწავლებელი მიდის და ძალით სვამს მას და თან აფრთხილებს, რომ თუ კიდევ გაიმეორებს იგივეს, ლუკა დატოვებს ოთახს.

როგორც კი გატრიალდება მასწავლებელი, ლუკა კვლავ გარბის კედელთან და ცდილობს ნახატების დახევას.

დავალება: გამოყავით ქცევა, მისი წინაპირობა და შედეგი. როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, რომ ლუკას ქცევა შემცირდეს?